პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 ივნისი კვირა 1972

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 136 (15349)

11 ივნისი მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღეა

ხარისხის ხუთწლედი

მეცხრე ხუთწლედი განსაკუთრებული ეტაპია საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის განვითარების ისტორიაში. ამ ხუთი წლის მანძილზე ნინა ხუთ წელიწადთან შედარებით პროდუქციის წარმოების ზრდამ თითქმის 50 პროცენტს უნდა მიაღწიოს. ამასთან ახალი ხუთწლედი ამ დარგის მუშაკებს მაღალ მოთხოვნებს უყენებს ხარისხის გაუმჯობესების, ასორტიმენტის გაფართოების მხრივ. ყოველივე ეს მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივების დაძაბულ შრომას მოითხოვს. თუ როგორ ფიქრობენ ისინი საკავშირო XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელებას, ამის შესახებ მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღესასწაულის წინ ბაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი გ. გამცემლიძე.

1970 წელს, — თქვა მან, — სამინისტროს სისტემაში შემავალმა საწარმოებმა 705 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს, 1975 წლისათვის გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ კი 1 მილიარდ 55 ათას მანეთს უნდა მიაღწიოს. ეს დიდი ეგზამ მოიცავს მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგს, რომლებიც თავიანთი რეზერვების, შესაძლებლობების შესაბამისად ვითარდებიან. მაგალითად, ქსოვილების, თეთრეულის, და შეკერილი ნაწარმის გამოშვება დაახლოებით ერთი მესამედით გადიდდება, ზედა ტრიკოტაჟისა — ორჯერ, საფეიქრო-საგალანტერეო ნაწარმისა — ექვსჯერ. როგორ მივაღწევთ შრომის ნაყოფიერების ასეთ ზრდას? პირველ რიგში გათვალისწინებულია საწარმოთა გაფართოება— რეკონსტრუქციის მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებისათვის გამოყოფილია 28 მილიონ 270 ათასი მანეთი. გარდა ამისა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე უნდა დაიხარჯოს 17 მილიონ 660 ათასი მანეთი, ხოლო ახალი ტექნიკის დანერგვისათვის 24 მილიონ 380 ათასი მანეთი.

ეს უფრო თვალსაჩინო რომ გახდეს, ვიტყვით, რომ 1972-75 წლებში საწარმოებში დაიდგმება 8.757 ერთეული ახალი, მაღალი წარმადობის ტექნიკა. ძირითადად რომელი დარგების საწარმოები გადახალისდება? თითქმის ყველა დარგისა. მაგალითად, 2.450 ახალ მანქანა-დანადგარს მიიღებს გორის ბამბეულის კომბინატი, რითაც შრომის ნაყოფიერება დართვის დარგში 7 პროცენტით გაიზრდება, ხოლო ჩეჩვის დარგში — ორჯერ და მეტად. ახალი ტექნიკის დანერგვით 11,6 პროცენტით გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას აბრეშუმის მრეწველობის საწარმოები, ხოლო შალის მრეწველობას სამუალება მიეცემა მკვეთრად გაადიდოს უქსოვადი ქსოვილებისა და ხალიჩების ნაწარმის, საკოსტიუმე, საკაბე და საპალტო ქსოვილების გამოშვება. ამგვარად ამ პროდუქციის ნაკლებობა იგრძნობა.

დიდი ყურადღება მიექცევა სამეცრავლო მრეწველობას. პროდუქციის წარმოება ამ დარგში ხუთწლედში 3,5 მილიონი მანეთით უნდა გაიზარდოს, რაც ძირითადად მიღწეული იქნება შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე. ახალ მიმართულებას შეიძენს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის განვითარება. განსაზღვრულია მნიშვნელოვნად გაიზარდოს მოდელური და საკუთრორგო დანიშნულების ფეხსაცმლის გამოშვება. ახალი ტექნიკა აქაც იტყვის თავის სიტყვას. მაგალითად, მარტო ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანში“ ტექნიკურ სიახლეთა დანერგვით საორიენტაციო ეფექტურობა წელიწადში 2 მილიონ მანეთს მიაღწევს.

ახალი ტექნიკით საწარმოთა შეიარაღება ხუთწლედში პრინციპული ეტაპი ხდება ეგზემის მისედვით მოხდება, მაგრამ ამის პარალელურად გაგრძელდება ახალი სამრეწველო ობიექტების მშენებლობაც. მაგალითად, შულავერში ამენდება ტყავნეოლეულის ქარხანა, უკვე აიგო თბილისის მოდელური ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკა, რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში, კერძოდ, თერჯოლაში, ალპანაში, სხვიტორში, დუშეთში, თეთრ წყაროში, თიანეთსა და მანგლისში შეიქმნება მსხვილ საწარმოთა ფილიალები. გაისად ზუგდიდში დაიწყება ფაიფურის ქარხნის მშენებლობა. ეს ჩვენთვის სავსებით ახალი დარგია.

მაგრამ ხუთწლედში ჩვენი მთავარი ამოცანა, — განაგრძო მინისტრმა, — მაინც ის არის, რომ წარმოების გადიდებასთან ერთად შევძლოთ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამომვება. ეს პრობლემა ძირითადად უნდა გადაწყდეს საწარმოთა ხელახალი შეიარაღებით, ტექნოლოგიის გაუმჯობესებით, წარმოებაში მეცნიერულ ორმრჭანთა ფართოდ დანერგვით. რა შედეგებს მივაღწიეთ ამ მხრივ? წელს პირველ კვარტალში ჩატარდა მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის დარგობრივი ატესტაცია. 900 დასახელების ნაწარმიდან უმაღლესი კატეგორია მიენიჭა 65 ნაწარმს, პირველი კატეგორია — 648-ს, ხოლო მეორე კატეგორია — 180 ნაწარმს, ეს უკანასკნელი მთელი ნაწარმის ერთ მეხუთედს შეადგენს. მიუხედავად დიდი ღონისძიებებისა, პროდუქციის ხარისხი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს, არის შემთხვევები, როცა საწარმოები იხდიან ჯარიმებს უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის.

ამ ეტაპზე წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა საწარმოო გაერთიანებათა შექმნა, რაც ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. უკვე შეიქმნა რვა გაერთიანება, რომელშიც შედიან 21 ფაბრიკა და ორი ფილიალი. საწარმოთა რვა ნაწარმს მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში ნათქვამია, რომ საჭიროა სრულყოფთ მრეწველობისა და ვაჭრობის ორგანიზაცია, რათა სამომხმარებლო საქონლის წარმოების მოცულობა და ასორტიმენტი განისაზღვრებოდეს სავაჭრო ორგანიზაციათა შეკვეთებით. ამიტომ არის, რომ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო ამუშავებს ვაჭრობის შეკვეთების შესრულებისათვის საწარმოთა პასუხისმგებლობის ამაღლების ღონისძიებებს. იმ საწარმოებში, სადაც ღრმად სწავლობენ მოთხოვნას, სწრაფად ანაწილებენ ასორტიმენტს, წარმატებითაც ასაღებენ პროდუქციას.

წარმოების მოცულობის ზრდა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, სახალხო მოხმარების საქონლის ასორტიმენტის გაფართოება დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა. ეს კარგად ესმით რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებს. ემზადებიან რა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წარმატებით განახორციელონ ხუთწლედნი მათ წინაშე დასახული ამოცანები.

12 საამუშაო დღეში უდანაკარგოდ ავიღოთ კურეულის მოსავალი!

ქერს მკიან ალბალნზე

კომბაინერ დიმიტრი ხუცურაულის თაობსნობა



ჰირვეულმა გაზაფხულმა რამოდენიმე დღით გადასწია პურეულის დამწიფება. მაგრამ ფვიმების შემდეგ ორიოდე მცხუნვარე დღემ ალაზნის ველზე შემოსული ქერის ყანები გააფიცხა.

სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის კომბაინის აგრეგატები, რომლებიც ნაკვეთის პირთან იყვნენ გაწყობილნი, მხოლოდ განკარგულებას ელოდნენ.

...და აი გუშინ შვიდივე კომბაინი, რომელსაც კუნთმაგარი ბიკები გ. ლათიბაშვილი, გ. ხატიაშვილი, დ. ხუცურაული, ს. ბეჟანიშვილი, რ. გურაშვილი, ო. ხატიაშვილი და ა. შენკენაშვილი მართავენ ქერის ყანას შეეხია. მათ პირველსავე დღეს 50 ჰექტარზე აიღეს მოსავალი. კომბაინერები შეჯიბრებაში ჩაებნენ, რომ პურეულის მოსავალი შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ, ვეგმა-გრაფიკის მიხედვით აიღონ 12 სამუშაო დღეში.

კომკავშირელმა კომბაინერმა დ. ხუცურაულმა სიღნაღის რაიონისა და რესპუბლიკის კომბაინერებს მოუწოდა ფართოდ გაიჩაღონ შეჯიბრება ახალი ხუთწლედის მეორე წლის უხვი მოსავლის ორგანიზებულად და უდანაკარგოდ აღებისათვის.

კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე ა. დოლმაზაშვილი), პარტიულმა ბიურომ ყველა პირობა შექმნა მექანიზატორთა და მეჰინდღრეთა ნორმალური შრომისა და დასვენებისათვის. მინდვრად მოეწყო საზოგადოებრივი კვება, საველე აგიტპუნქტი, აქვეა ტელევიზორი, რადიო.

ტიბაანელებს გადაწყვეტილი აქვთ ქერის მოსავლის აღებისთანავე დაიწყონ ნაწვერალის ხვნა და სანაწვერალო სიმინდის თესვა. ნაწვერალი 500 ჰექტარს დაიპერს.

ქერის მოსავლის აღებას შეუდგნენ აგრეთვე სოფლების ძველი ანაგის, ჯუგაანისა და ბოდბისხევის კოლმეურნეობები.

ვლ. მჰედლიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

ხურათზე: ქერის მკა სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობაში.

ბ. პრქანანის ფოტო.

კიროვოგრაკელ მექანიზატორთა მაგალითი მისაბაძია!

მოდით შევეჯიბროთ!

ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო ჩვენთან თავთავიანი მარცვლეული კულტურები ყველაზე ადრე მწიფდება, და, რა თქმა უნდა, მკასაც პირველად ჩვენ ვიწყებთ.

ჩემთან ახლოს, მეზობელ ნაკვეთში მუშაობს წინა წლების შეჯიბრების ინიციატორი გივი ლათიბაშვილი. მისი გამოცდილებით ბევრი რამ ვისწავლე. სწორედ მან, კოლმეურნეობისა და სიღნაღის რაიონის ხელმძღვანელებმა მომცეს სტიმული კიროვოგრაკელ მექანიზატორთა მაგალითით მივმართო რესპუბლიკის კომბაინერებს მოწოდებით, რომ მთელი ძალით გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ახალი ხუთწლედის მეორე წლის უხვი მოსავლის ორგანიზებულად და უდანაკარგოდ ასაღებად. სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ ჩვენი რესპუბლიკის კომბაინერებს. მე პირადად, ვიცი რა, ბევრ სამუშაო დღეში პურეულს ავიღებ 200 ჰექტარზე.

საქართველოს კომბაინერებო! მოდით შევეჯიბროთ ერთმანეთს მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღების საქმეში, საპატიო წოლილი შევიტანოთ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში!

დ. ხუცურაული,
სიღნაღის რაიონის ტიბაანის კოლმეურნეობის კომბაინერი.

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკება

9 ივნისს კრემლში გრძელდებოდა წკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის,** წკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **ნ. ვ. პოდგორნის,** წკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ა. ნ. კოსიგინისა** და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის **იოსიპ ბროზ ტიტოს** მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს, რომელიც ძმური მეგობრობის, სრული ურთიერთგაგებისა და გულითადობის ვითარებაში მიმდინარეობდა, დამთავრდა აზრთაგაცვლა ურთიერთგაგზავრება საქართველოს კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის, საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ორმხრივი მეგობრული თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების საკითხებზე. მხარეებმა ვანიხილეს აგრეთვე ურთიერთსაინტერესო დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემები.

მოლაპარაკების დროს მხარეებმა შეაჯამეს ნლავიანი ერთობლივი კომუნიკე. (საკდესი).

დარბაზობა კრემლის დიდ სასახლეში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მთავრობამ 9 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში გამართეს დარბაზობა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის იოსიპ ბროზ ტიტოს და მისი მეუღლის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ბ. ი. პოდგორნი, ა. ა. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პელიშანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. სუსლოვი, ა. ვ. შელეპინი, პ. ე. შელესტი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილები, სსრ კავშირის მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, საბჭოთა კავშირის და ჯარების გვარეობათა მარშლები, გენერლები. და ადმირალები, ცენტრალურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

იუგოსლავიის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც ახლავან ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოს.

სტუმრებს შორის იყვნენ საბჭოთა კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დარბაზობის დაწყებამდე შესრულდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ამხანაგი იოსიპ ბროზ ტიტო საბჭოთა კავშირში

10 ივნისს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე **იოსიპ ბროზ ტიტო,** რომელიც ჩვენს ქვეყანაში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით, მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა.

ენუკოვის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, იოსიპ ბროზ ტიტოსა და მისი მეუღლის, მისი თანმხლები იუგოსლავიის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეების გასაცილებლად მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სხვა ოფიციალური პირები. (საკდესი).

ი. ბროზ ტიტო იუგოსლავიაში დაბრუნდა

ბელგრადი. 10 ივნისი. (საკდესი). იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე იოსიპ ბროზ ტიტო დღეს დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან, სადაც ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიწვევით.

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ერთობლივი კომუნიკე

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე იოსიპ ბროზ ტიტო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით 1972 წლის 5-10 ივნისს ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე იოსიპ ბროზ ტიტო და მასთან ერთად ჩამოსული იუგოსლავიის სახელმწიფო და პარტიული მოღვაწენი გაეცნენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და შრომას, მის მიღწევებს კომუნისტურ მშენებლობაში. სსრ კავშირში ყოფნის დროს ისინი ეწვივნენ მოსკოვის № 1 სახელმწიფო საკისრის ქარხანას, სადაც გაიმართა გულითადი შეხვედრა საწარმოს კოლექტივთან, ამხანაგი იოსიპ ბროზ ტიტო მის თანმხლებ ოფიციალურ პირებთან ერთად ჩავიდა ლატვიის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქ რიგაში. საბჭოთა მშრომელები ყველგან გულთბილად, მეგობრულად ხვდებოდნენ იუგოსლავ ამხანაგებს.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარეს იოსიპ ბროზ ტიტოს გადაეცა ლენინის ორდენი, რომლითაც იგი დაჯილდოვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით.

ვიზიტის დროს გაიმართა მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სსრ კავშირის სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც ახლავან ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოს.

სტუმრებს შორის იყვნენ საბჭოთა კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დარბაზობის დაწყებამდე შესრულდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

დარბაზობა კრემლის დიდ სასახლეში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მთავრობამ 9 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში გამართეს დარბაზობა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის იოსიპ ბროზ ტიტოს და მისი მეუღლის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ბ. ი. პოდგორნი, ა. ა. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პელიშანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. სუსლოვი, ა. ვ. შელეპინი, პ. ე. შელესტი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილები, სსრ კავშირის მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, საბჭოთა კავშირის და ჯარების გვარეობათა მარშლები, გენერლები. და ადმირალები, ცენტრალურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

იუგოსლავიის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც ახლავან ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოს.

სტუმრებს შორის იყვნენ საბჭოთა კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დარბაზობის დაწყებამდე შესრულდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ამხანაგი იოსიპ ბროზ ტიტო სამშობლოში გაემგზავრა

10 ივნისს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე **იოსიპ ბროზ ტიტო,** რომელიც ჩვენს ქვეყანაში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით, მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა.

ენუკოვის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, იოსიპ ბროზ ტიტოსა და მისი მეუღლის, მისი თანმხლები იუგოსლავიის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეების გასაცილებლად მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სხვა ოფიციალური პირები. (საკდესი).

ი. ბროზ ტიტო იუგოსლავიაში დაბრუნდა

ბელგრადი. 10 ივნისი. (საკდესი). იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე იოსიპ ბროზ ტიტო დღეს დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან, სადაც ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიწვევით.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 9 ივნისის ბრძანებულებით საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭათ სახელო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის

მერაბ ვლადიმერის-ძე **გეგეჭკორს** — თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

ელისო კონსტანტინეს ასულ **ვორსლაძეს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

ლილიანა ირაკლის ასულ **მითაიშვილს** — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

რამაზ გრიგოლის-ძე **ჩხიკვაძეს** — თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის

ქეთევან დავითის ასულ **ბაგრატიშვილს** — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგეს.

ლეონ გერმანეს-ძე **მირცხულავას** — თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეჟისორს.

გაიოზ ეუკოლის-ძე **ყორდანიას** — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარ რეჟისორს.

ოთარ დავითის-ძე **ფირალიშვილს** — ხელოვნებათმცოდნეს.

გიორგი (გია) ალექსანდრეს-ძე **ყანჩელს** — კომპოზიტორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის

მედეა სიმონის ასულ **ვონგლიაშვილს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კონცერტმაისტერს.

ამირან სევერიანის-ძე **ებრალიძეს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლ „დიეღლის“ ხელმძღვანელს.

სოსო სევერიანის-ძე **ებრალიძეს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლ „ციტანათელას“ ხელმძღვანელს.

ნათელა კონსტანტინეს ასულ **მიქელაძეს** — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

გიზო დიმიტრის-ძე **სიხარულიძეს** — რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

თამარ ვიქტორის ასულ **ჩერქეზიშვილს** — მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ლილი შალვას ასულ **ჩიბალაშვილს** — თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

საბჭოთა კავშირ-კანადის ურთიერთობა

7-9 ივნისს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირ-კანადის შერეული კომისიის პირველი სხდომა. ეს კომისია შეიქმნა სსრ კავშირსა და კანადას შორის გაცვლის შესახებ 1971 წლის 20 ოქტომბრის საერთო შეთანხმების დებულებათა შესაბამისად. კომისიამ შეიმუშავა და ხელი მოაწერა სსრ კავშირისა და კანადის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის 1972-1973 წლების პროგრამას.

პროგრამით გათვალისწინებულია მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ხელოვნებისა და სპორტის და სხვა დარგებში საბჭოთა კავშირ-კანადის ურთიერთობის და გაცვლის გაფართოება, ჩრდილოეთის ათვისების დარგში სსრ კავშირისა და კანადის მიღწევების ურთიერთგაცნობა, აგრეთვე ორი ქვეყნის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შემოქმედებითი კავშირების თანამშრომლობის განვითარება. (საკდესი).

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია გაიხსნება 1972 წლის 14 ივნისს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 12 და 13 ივნისს 9-დან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახები — № 1, № 4, ტელეფონები: 99-08-54, 99-58-19.

14 ივნისს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 8 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1972 წლის 14 ივნისს დილის 9 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ერთობლივი კომუნიკე

(დასასრული)

საფუძველზე, ახალი მძლავრი სტიმული მისცა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა ძალაში შესვლამ, რომლებიც ემყარებიან ევროპაში შექმნილ რეალობებს, განამტკიცებენ ევროპის საზღვრების შეუვალობას. ევროპის პოლიტიკური კლიმატის გაუჯობესებას არსებითად უწყობენ ხელს ოთხმხრივი შეთანხმება დასავლეთ ბერლინის თაობაზე და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ ბერლინის სენატის შეთანხმებანი. მხარეთა აზრით, ამ კეთილისმყოფელი ტენდენციების განმტკიცებისათვის საჭიროა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაცია საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთდროულად მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რაც ხელს შეუწყობდა ამ ორგანიზაციის განმტკიცებას და მისი, როგორც უნივერსალური ორგანიზაციის, შემდგომ დამკვიდრებას, აგრეთვე საჭიროა მოწესრიგდეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის არსებული გადაუჭრელი საკითხები, და, უწინარეს ყოვლისა, იმთავითვე ბათილად ცნონ მიუნხენის შეთანხმება.

მხარეები დათანხმდნენ, რომ ახლა არსებობს ყველა საჭირო წანამძღვარი, რათა მრავალმხრივ საფუძველზე დაუყოვნებლივ მოშზადდეს და უახლოეს დროში გაიმართოს სახელმწიფოთა სრულიად ევროპის თათბირი უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე, რათა ეს საკითხები განიხილონ და გადაჭრან ევროპის ყველა ხალხის, მათი თავისუფალი განვითარების, მშვიდობისა და პროგრესის საქმის საკეთილდღეოდ.

მხარეებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ ევროპის საზოგადოებრიობის მშვიდობის მოყვარულ და კონსტრუქციულ მიცადინეობას, რაც, კერძოდ, ასახავ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის მებრძოლი საზოგადოებრივი ძალების ასამბლეის დასკვნებსა და იდეებში, რომელთა მიზანია ევროპის კონტინენტზე მომწიფებულ პრობლემათა გადაჭრა.

ითვალისწინებენ რა ევროპის ხალხთა მისწრაფებებსა და ოცნებებს, მხარეები გამოთქვამენ რწმენას, რომ შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირება, ისევე როგორც ამ დარგში განსორციელებული სხვა ღონისძიებანი, ევროპის უშიშროების მშენებლობის პროცესის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იქნებოდა.

მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს იმას, რომ კვლავაც უნდა გაგრძელდეს აქტიური ბრძოლა საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკაში სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის, ძალის გამოყენებასა და მისი გამოყენების მუქარაზე უარის თქმის, სადავო საკითხების მშვიდობიანი და კონსტრუქციული გადაწყვეტის პრინციპის თანმიმდევრულად დამკვიდრებისათვის. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, თუ რა დიდმნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ამასწინანდელ მოლაპარაკებას, რომლის დროს მიაღწიეს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის შეთანხმებებს. განსაკუთრებით აღინიშნა რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების შეზღუდვის ხელშეკრულებისა და სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგში ზოგიერთი ღონისძიების შესახებ ადროებითი შეთანხმების მნიშვნელობა, რომლებიც დიდმნიშვნელოვანი და კონკრეტული ნაბიჯებია განიარაღების გზაზე, რაც იყო და კვლავაც არის საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მუდმივი მიზანი.

მხარეები, რომლებიც ხელმძღვანელობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVI სესიის რეკომენდაციებით, მხარს უჭერენ განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევას ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით და აცხადებენ, რომ მზად არიან ყოველი ღონე იხმარონ მისი მოწვევისა და წარმატებითი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

სსრ კავშირი და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა აცხადებენ, რომ მზად არიან და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასთან ერთად იღვწოდნენ განიარაღების დარგში საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადებისა და უწინარეს ყოვლისა ყველა სახეობის მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისათვის.

საბჭოთა და იუგოსლავიის მხარეებმა, რომლებიც იღვწიან საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მშვიდობა ყველას ეკუთვნის და მისი უზრუნველყოფა სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული მსოფლიოს მთელი მშვიდობისმოყვარე და პროგრესული ძალების უფართოეს აქტიურობაზე, ურთიერთმოქმედებასა და კონსტრუქციულ ღონისძიებებზე.

სსრ კავშირი და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა აცხადებენ, რომ განუხრელად უჭერენ მხარს გმირ ვიეტნამელ ხალხს, ლაოსისა და კამბოჯის ხალხებს, რომლებიც სამართლიანად იბრძვიან ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მხარეებმა გამოთქვეს აზრი, რომ მთლიანად და უმეწინეწნოდ უნდა შეწყდეს დაბომბვა, აგრეთვე სხვა საომარი მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. მათ მიაჩნიათ, რომ ომის დამთავრებისათვის საჭიროა ამერიკამ დაუყოვნებლივ და მთლიანად გაიყვანოს ჯარები ინდოჩინეთიდან, პატიჟი სცეს ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხების განუყოფელ უფლებას თავისუფლად გადაწყვიტონ თავიანთი ბედი გარედან ჩაურევლად.

მხარეები მტკიცედ მოითხოვენ, რომ დაკმაყოფილდეს არაბ სახელმწიფოთა სამართლიანი მოთხოვნები ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისა და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ უფლებათა აღდგენის შესახებ, და მიაჩნიათ, რომ ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მშვიდობიანი მოწესრიგება, რაც უნდა განხორციელდეს უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1971 წლის 13 დეკემბრის რეზოლუციის თანმიმდევრულად შესრულების საფუძველზე, ხელს შეუწყობდა მშვიდობის დამყარებას ამ ზონაში. ეს აგრეთვე შეამნიდა პირობებს, რათა მთელ ამ რაიონში განხორციელებულიყო ღონისძიებანი სამხედრო დაძაბულობის შენელებისათვის, კერძოდ, იმისათვის, რომ ხმელთაშუა ზღვა მშვიდობისა და მეგობრული თანამშრომლობის ზღვა გახდეს. სსრ კავშირი და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა მხარს უჭერენ არაბული ქვეყნების მეცადინეობასა და მისწრაფებებს გადაჭრან კრიზისი მშვიდობიანი საშუალებებით, აგრეთვე მათს გადაწყვეტილებას განამტკიცონ — და გააძლიერონ ეკონომიური და სამხედრო პოტენციალი თავიანთი კანონიერი უფლებებისა და ეროვნული ინტერესების დასაცავად.

საბჭოთა კავშირი და იუგოსლავია განუხრელად განახორციელებენ ყველა კონტინენტის იმ ხალხებთან მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის განვითარების კურსს, რომლებმაც დაამსხვრიეს კოლონიური ჩაგვრის ბორკილები, იბრძვიან იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობისა და სოციალური განვითარების პროგრესული გზისათვის.

საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს მიუმხრობელი ქვეყნების პოლიტიკის ანტიიმპერიალისტურ კურსს, და ამასთან დაკავშირებით დადებითად აფასებს მის როლს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში, ხალხთა ბრძოლაში კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის.

მოლაპარაკების მონაწილენი გამოთქვამენ რწმენას, რომ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე იოსიპ ბროზ ტიტოსა და იუგოსლავიის სხვა ხელმძღვანელთა ვიზიტს, სსრ კავშირში, აზრთა ვალიერ ურთიერთგაცვლის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთანგარიშგებისა — ასევე ურთიერთობათა ფართო სპექტრის, ურთიერთინტერესის პრაქტიკულ საკითხებში ხელს შეუწყობენ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ ყოველმხრივ განვითარებას, მშვიდობის, პროგრესისა და სოციალიზმის საქმეს.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარემ ბ. ბ. ტიტომ სსკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ოფიციალური მეგობრული ვიზიტით მიიწვია იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში. საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის მოდვაწენი მადლობით დაეთანხმნენ ამ მიწვევას.

ერაყთან მეგობრობა და თანამშრომლობა

9 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებმა გაერთიანებულ სხდომაზე რეკომენდაცია მისცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ერაყის რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება. პრეზიდიუმში იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ა. სუსლოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

კომისიათა წევრებმა ბ. ნ. პონომარიოვის თავმჯდომარეობით განიხილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადება სსრ კავშირისა და ერაყის მეგობრობისა და თანამშრომლობის 1972 წლის 9 აპრილს ბაღდადში ხელმოწერილი ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, რომელიც მათ გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა.

საბჭოთა მხარობის სახელით სხდომაზე საინფორმაციო მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა

ეს ხელშეკრულება, თქვა მან, საბჭოთა კავშირ-ერაყის ურთიერთობის ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპის მაუწყებელია. იგი განამტკიცებს სსრ კავშირისა და ერაყის მეგობრობასა და ნაყოფიერ თანამშრომლობას და შემდგომი წინსვლის ახალ, უფრო მაღალ დონეზე თანამშრომლობის მყარი სამართლებრივი საფუძველი იქნება. საბჭოთა კავშირ-ერაყის ხელშეკრულება, რომელიც ვეშეაბამება საბჭოთა კავშირისა და ერაყის რესპუბლიკის ძირეულ ინტერესებს, ასახავს საბჭოთა და ერაყელი ხალხების კეთილ ნებას, მათს მზრუნველ მისწრაფებას იცხოვრონ მშვიდობითა და ურღვევი მეგობრობით, განაკითარონ თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და სხვა დარგებში, ამასთან იხელმძღვანელონ ერთმანეთის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ძირითადი პრინციპებით.

25 აპრილს, თქვა ვ. ვ. კუზნეცოვმა, ერაყის ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ — ერაყის რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭომ დაამტკიცა საბჭოთა კავშირ-ერაყის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

შემდეგ დაიწყო განხილვა, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები — გაზეთ „იზვესტიის“ პოლიტიკური მიმომხილველი ვ. ლ. კუდრიავცევი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ა. ა. ეპიშევი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა, კარელიის ასსრ პუდოჟის რაიონის კრივეცკის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის ხარატი ი. ვ. დიომინი, ყაზანის ბუტლეროვის სახელობის ქიმიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ბ. ა. არბუზოვი.

შემდეგ წინადადება მოიწონონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ერაყის რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, და უარჩინონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია.

დეპუტატებმა მოიწონეს ეს წინადადება და ურჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მოახდინოს ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია. (საკდესი).

ტელეტაიპის ლენტიდან

● **სენატორმა ჯ. მაკკოვერნმა**, რომელიც იღვწის, რათა მისი კანდიდატურა წამოაყენონ პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატიული პარტიისაგან, ოკლაჰომა-სიტში გაფრენის დროს მიიღო რადიოგრამა, რომელშიც აფრთხილებდნენ, თვითმფრინავში ბომბიაო. თვითმფრინავი დაუყოვნებლივ დაჯდა ატლანტაში და მგზავრები გამოვიდნენ. მაგრამ თვითმფრინავში ვერაკითარი ბომბი ვერ იპოვეს.

● **11 კაცი დაიღუპა** კოკისპირული წვიმების შედეგად ეგეოსის ზღვის თურქეთის სანაპიროს რაიონში. ადიდებულმა მდინარე გედიზმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ამ რაიონის სოფლის მეურნეობას. კოკისპირული წვიმების გამო დაირღვა ტრანსპორტის მომოსვლა თურქეთის დედაქალაქ ანკარაში. უამინდობამ რამდენიმე საათით შეწყვიტა მოძრაობა ანკარისა და ესკიშეჰირის გზაზე.

დამნაშავენი უნდა დაისაჯონ!

ПРАЖА. როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ ძალით გაიტაცეს ჩეხოსლოვაკიის სამოკალაქო თვითმფრინავი „ლ-410“, რომელიც რეგულარული რეისით მიფრინავდა მარიანსკე-ლაზნედან პრაღაში.

ორმა გამტაცებელმა, რომელთა ვინაობა ჯერ არ დაუდგენიათ, აიძულა თვითმფრინავის ეკიპაჟი გადასულიყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვარზე და დაშვებულიყო ვაიდენში, მაინის ფრანკფურტის მახლობლად. თვითმფრინავში 15 მგზავრი იყო.

შეიარაღებულმა გამტაცებლებმა მოსულს თვითმფრინავის მეთაური და დაჭრეს ორი მგზავრი. თვითმფრინავის დაშვების შემდეგ გამტაცებლები ცდილობდნენ გაქცეულიყვნენ, მაგრამ დასავლეთ გერმანიის პოლიციამ დააპატიმრა ისინი.

ბონი. ქალაქ ვაიდენის სასამართლოს პროკურორმა განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩაყვანილი ჩეხოსლოვაკიური თვითმფრინავის გამტაცებლებს წაუყენებენ ბრალდებას, რომ ჩადენილ „საპაერო მეკობრეობის აქტი დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებებით“ (პოლტის მკვლელობა). კანონი საპაერო მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელიც გფრ-ში მიიღეს გასული წლის დამლევს, ითვალისწინებს პატიმრობის ვადას 10 წლიდან სამუდამო პატიმრობამდე.

ПРАЖА. როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, დღეს ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლებმა სთხოვეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცეს მათ ჩეხოსლოვაკიელი პილოტის მკვლელი და ჩეხოსლოვაკიის „ლ-410“ თვითმფრინავის გამტაცებლები.

ამასთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიელი ხელისუფლები აღნიშნავენ, რომ დღემდე არ დაუკმაყოფილებიათ ჩეხოსლოვაკიის მოთხოვნა.

(საკდესი. 10 ივნისი).

თვითმფრინავი დაკაბრუნეს

ПРАЖА, 10 ივნისი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიას დაუბრუნეს სამოკალაქო თვითმფრინავი „ლ-410“, რომელიც 8 ივნისს მარიენსკე-ლაზნედან პრაღაში რეგულარული რეისის დროს ძალით გაიტაცეს ვაიდენში, მაინის ფრანკფურტის მახლობლად (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). პრაღაში დაბრუნდნენ აგრეთვე მეორე პილოტი და ორი დაჭრილი მგზავრი. ჩასვენეს აგრეთვე თვითმფრინავის მეთაური, სამი შვილის მამა — ი. მაჩიკა, რომელიც მეკობრეებმა მოკლეს.

ზორეული ქრქიპელაგი

ახალი გებრიდების არქიპელაგის (ინგლის-საფრანგეთის კონდომინიუმი) სიდიდით მეორე კუნძულ მალეკულაზე, წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობს პატარა ტომი გვაროვნული წყობის დამბახასიათებელი ნიშნებით და პრიმიტიული ნატურალური მეურნეობით.

ვხვეშდავთ „ნეშნლ ჯეოგრაფიკ“-ში (ვაშინგტონი) დაბეჭდილ კელ მიულერის წერილს, რომელიც მოგვითხრობს ამ შორეულ კუნძულზე მოგზაურობის შესახებ. სტატია გამოქვეყნებული იყო ყურნალში „ზარუბეჟომ“.



□

ᲙᲣᲜᲫᲣᲚ მალეკულაზე ჩამოსვლიდან ორიოდე კვირის შემდეგ მელანეზიელ ტომში აღმოვჩნდი. ტომს ახალი გებრიდების მკვიდრ მოსახლეობაში ყველაზე უკეთ შემოუნახავს ტრადიციები. ევროპიდან ჩამოსახლებულებმა, რომელნიც კოპრას ამზადებდნენ, ამ ტომს „პატარა ნამბა“ შეარქვეს („ნამბა“ ადგილობრივი ენაოგონით ეწოდება ბამაკაცის ყველაზე დამახასიათებელ სამკაულს, ბანანისაგან გაკეთებულ თავისებურ „ლენგის ფოთოლს“). კუნძულის ჩრდილოეთში მცხოვრები მათი მონათესავე ტომის ადამიანები მეწყვეული ფერით შეღებილ პანდანუსის ვიწრო ფოთლების მორთულობას ატარებენ და „მათ „დიდი ნამბა“ დარქვეს.

ნამბას ტომი ძალიან მცირერიცხოვანია. თუმცა კუნძულზე 12 ათასზე მეტი მკვიდრი მცხოვრებია, მაგრამ მათგან მხოლოდ 250 ინარჩუნებს ერთგულებას ტრადიციებისა და წინაპრთა რწმენისადმი. დანარჩენი სანაპირო სოფლებში ცხოვრობენ და ქრისტიანული ეკლესიის მრევლში ირიცხებიან.

ტროპიკული უამინდობა და ადგილმდებარეობის ძლიერი დასერილობა ტურისტებისათვის ნაკლებად მიმზიდველს ხდის კუნძულს. საეკუნეებით იზოლაციის გამო დღემდე შემონახულია ტომობრივი ადათ-წესები. ამ ტომისადმი ინტერესმა მიმიყვანა ლენდომბუეში, „პატარა ნამბას“ რწმენის დაცვის ერთ-ერთ ცენტრში.

კუნძულის სამხრეთ-დასავლეთში მდებარე სოფელი ლავა ლენდომბუეიდან 10 მილზე მდებარეობს. ადგილობრივი მცხოვრენი ამ მანძილს 7-8 საათში ფარავენ, ჩვენ კი, კინოოპერატორთან ერთად ორი დღე დაგვჭირდა. მეორე დღეს ხშირ ბარდებში გამოჩნდა თოვით გადახურული ორიოდე ქოხი, რომელთა სახურავები ტაიფუნის მოვარდნის შემთხვევისათვის წინასწარ იყო გამაგრებული ხისმაგვარი გვიმრის ბოძების საყრდენით. ბუჩქნარში ჩამალული დანარჩენი ქოხები ჯაჭვივით გაგრძელებულიყვნენ შედარებით მოსწორებულ ბორცვის ფერდობზე.

სამი ადგილობრივი მცხოვრები შემოგვეგება. ისინი მორთული იყვნენ სხვადასხვა სამკაულებით. ცხვირში გარჭობილი ჰქონდათ ღეროები, ყურებზე ეკიდათ ეუს ჯავშნის საყურეები, ხელებზე მძიმეები შემოეხვიათ, კისერზე კი გარეული ღორის ეშვები ეკიდათ. სამივე გულთბილად იღიმებოდა და მალე ბელადსაც უხმეს — სახელად ილაბნამბინპინს. მან ეს მაღალი წოდება დაიმსახურა იმიტომ, რომ სხვებზე მეტი შინაური ღორი ჰყავს და სხვადასხვა ზეიმების დროს მოხდენილად კლავს მათ. იგი თანდათანობით ადიოდა „პატარა ნამბასა“ და ახალი გებრიდების სხვა ტომებში გამეფებული იერარქიის საფეხურზე. მისი რეპუტაცია ტომში მნიშვნელოვნად განისაზღვრება იმ ადგილით, რომელიც მის მამას ეჭირა. ილაბნამბინპინის მამა სახელგანთქმული, ტყვეისა და ისრისათვის მოუხელთებელი მეომარი იყო. მებრძოლი ტომები ხშირად იწვევდნენ მას ჯარის მხედართმთავრად და გულუხვად აჯილდოებდნენ ღორებით, რომლებიც შემდეგ მან შვილს დაუტოვა მემკვიდრეობად.

თუმცა „პატარა ნამბა“ იცნობენ ახალგებრიდულ ფრანკენსა და ავსტრალიურ დოლარებს (მათ სანაპიროს პლანტაციებზე მუშაობაში იღებენ), მაგრამ „მყარი ვალუტა“, რომლითაც ყველაფრის ყიდვა შეიძლება, მათთვის მაინც ეშვიანი გარეული ღორებია. როდესაც გარეული ღორი მიაღწევს ერთ წელს, მას ზედა ეშვებს უმტვრევენ და ქვედა კბილები თანდათანობით ეზრდება, რომელიც შემდეგ ხახეკარმთვარის ფორმას იღებს. რაც უფრო მეტად აქვს ღორს გაღუნული კბილები, მით უფრო მეტია მისი საცვლელი ღირებულება.

„პატარა ნამბას“ ძალიან ეშინოთ სულებისა და ყოველნაირად ცდილობენ დაუყვავონ. მათ. ერთხელ დავესწარი დამარხვის ცერემონიას. ფოთლებით დაფარული გარდაცვლილი მოხუცის გვამი ერთი წლის მანძილზე იდო სამარხ საკაცეზე წმიდა მიწის გვერდით. ცერემონიის წინ გარდაცვლილის ქალა მოაცილეს ჩონჩხს, ჩამოაცვეს ბამბუკის კარკასს და

ილაბნამბინპინს — „პატარა ნამბას“ ბელადს, ყველაზე მეტი ღორი ჰყავს ტომში. სწორედ ამან მოუტანა მას ბელადის პოსტი და პატივისცემა. სტუმრებზე რომ შთაბეჭდილება მოეხდინა, მან თავის ჩვეულებრივ სამოსს კედები და ფეხბურთის გეტრები დაუმატა.

ზედა კბილის უქონლობა ნამბას ტომში ქალის კდემამოსილებისა და ღირსების ნიშანია. ქალს კბილს წვეტიანი ქვით მოატეხს ხოლმე ქმარი ან ქმრის რომელიმე ნათესავი. სისხლიან იარას ადებენ ცეცხლზე გახურებულ მცენარეს, რომელიც აყუჩებს ტკივილს და აჩერებს სისხლის დენას.

მოწითლო ფერის თიხით დაფარეს. ნიღაბი იმგვარად იძერწებოდა, რომ წარმოქმნილიყო მსგავსება გარდაცვლილის ნაკვთებთან. შემდეგ გამოძერწეს ადამიანის სტილიზებული კორპუსი და მასზე სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურები დახატეს, რომლებსაც მათი აზრით უნდა გამოესახათ გარდაცვლილის ადგილი ტომობრივ „ნიმანგიზში“ — იერარქიაში.

რიტუალური ცეკვების ათი ტურის შემდეგ, რომელშიც მთელი ტომი მონაწილეობდა, პროცესიამ გარდაცვლილის ზეადამრთული ფიტულით გარს შემოუარა წმიდა მიწას. ქალები, რომლებსაც ამ მომენტში აკრძალული ჰქონდათ წმიდა მიწაზე ფეხის შედგმა, მოშორებით მოთქვამდნენ. შეეუერთდი მაყურებლს და მოთმინებით ველოდი ცერემონიის ფინალს. როგორც ექნა მოშორებული ბუჩქიდან რაღაც შავი გამოჩნდა. ფიგურა მოგვიახლოვდა და გვერდზე მდგომმა „პატარა ნამბამ“ წაიჩურჩულა: „ახლა შენ სულს დაინახავ!“

„სულს“ მთელი გროვა გაბოლილი გვიმრის ფოთლები წამოეფარა და მხოლოდ შიშველი ფეხები უჩანდა. თავზე უფორმო ნიღაბი ეხურა, ხელებში კი მშვილდი და ისრები ეჭირა. ფოთლების გროვიდან რამდენიმე ადგილზე წაწვეტებული ჯოხები უჩანდა, რომლებზეც ქოქოსის რბილი გული იყო წამოცცული. შემდეგ ისინი შეეჯამენ ან ნაყოფს რათა „ურთიერთობა დამყარონ სულის სამყაროსთან“.

მთავარი „სულის“ შემდეგ ბუჩქებიდან კიდევ სამი ისეთივე ფიგურა გამოვიდა, შემდეგ წითელი და თეთრი საღებავებით შეღებილი კედეგ ორნი გამოვიდნენ. ექვსივემ შემოუარა წმიდა მიწას, შემდეგ კი გრძელი ტოტებით ცემა დაუწყეს ზურგებზე მაყურებელს. ამას მათი წარმოდგენით უნდა დაერწმუნებინა იქ მყოფნი, რომ სულები არას ავნებენ ადამიანებს. რამდენიმე წუთის შემდეგ წარმოდგენის მონაწილეებმა წაიღეს ბატატის ნაყოფი, რაც გარდაცვლილის ფიტულის წინ ეწყო და გამიზნული იყო სულის დასაყვავებლად, და გაუჩინარდნენ. ცერემონიის ხელმძღვანელმა შუბით (წვერი ძველი ხიშტისაგან ჰქონდა) ღორი დაკლა. შემდეგ ხორცი დაჭრეს და მაყურებელთა შორის გაანაწილეს. ამით წარმოდგენა დამთავრდა.

„დიდი ნამბა“, რომელსაც წინათ კაციჭამიობა ჰქონდა პრაქტიკაში, „პატარებისაგან“ განსხვავდება როგორც ენით, ისე ტრადიციებით. მათი სოფელი ამოკი 30 მილზეა ლენდომბუეიდან, და ჯუნგლებში მიმსვლის სიძნელის გამო ამ ორი ტომის კონტაქტები მინიმალურია. ახლა ნამბას ტრადიციული ცხოვრების წესი სერიოზულ გამოცდას გადის. ნატურალურ მეურნეობაში იჭრება ფულადი ანგარიშები. ამოკში ფარდულიც კი გაჩნდა, სადაც უკვე აღარ იღებენ ღორებს როგორც გადახდის საშუალებას.

ზოგიერთი ქოხის მაღალი ორფერდა სახურავი თითქმის მიწამდე ეშვება, ასეთია ლენდომბუეია, სოფელი, რომელშიც 120 „პატარა ნამბა“ ცხოვრობს.

მიწისძვრების «მორჯულება»

მეცნიერები ინტენსიურად სწავლობენ მიწისძვრის მიზეზებს და ეძებენ გზენების ამ კატასტროფული მოვლენის თავიდან აცილების გზებს.

ᲥᲐᲠᲐᲩᲘᲡ არ შეუძლია იწინასწარმეტყველოს, თუ სან-ფრანცისკოში როდის განმეორდება 1906 წლის საშინელი მიწისძვრა. რაც უფრო ხანგრძლივი დროით გადაიდება ეს კატასტროფა, მით უფრო საშარელი იქნება იგი. უეცრად ამვებულ მძლავრ ზამბარასავით ქალაქის დასავლეთი ნაწილი ჩრდილოეთისაკენ წაიწევს და გასტესავს მჭიდროდ დასახლებულ ცენტრს, და ყოველივე ეს მოხდება თვალის დახამხამებაში, თუ კი არ გამართლდა ამერიკელ მეცნიერთა მცირე ჯგუფის იმედები, თუ ვერ მოახერხეს მიწისქვეშა ტაქეის მოთოკვა, რომ სან-ფრანცისკო გადაარჩინონ.

სულ მცირე ხნის წინათ მიწისძვრის კონტროლის მცდელობაც კი წარმოუდგენელი იყო. მაგრამ ეერეთ წოდებულმა კონტინენტების დრეიფის „ტექტონიკურმა“ თეორიამ, რომელმაც მიწისძვრების წარმოშობის მიზეზები ამოიცნო, მოგვცა გასაღები ამ პრობლემის გადაჭრისათვის. ამ თეორიის არსი ის არის, რომ ლიტოსფერო (დედამიწის ყველაზე ზედა მკვრივი ფენა) დატეხილია (ამერიკულ, ევროაზიულ, აფრიკულ, ინდურ, წყნაროკეანურ, ატლანტიურ — 6 მსხვილ და თორმეტამდე შედარებით მცირე) ფილებად, რომლებიც ასტენოსფეროზე (მანტიის ზედაპირული ფენა) „დაცურავენ“.

როცა ეს ფილები სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობენ, ერთმანეთს „ეჯახებიან“. თითქმის ყველა მიწისძვრას მათს ნაპირებზე აქვს ადგილი, სადაც დაძაბულობის „გამოთავისუფლება“ ხდება. ამჟამად გეოლოგები საზღვრავენ ფილების საზღვრებს, ერთმანეთს უდარებენ დედამიწაზე მომხდარი მიწისძვრების რუკებს. მაგალითად, ისლანდიის რაიონში სეისმური აქტივობა იმით აიხსნება, რომ სწორედ აქ დევს ზღვარი ამერიკულ და ევროაზიურ ფილებს შორის, რომლებიც საწინააღმდეგო მიმართულებებით მოძრაობენ, რის გამოც ატლანტიკის ოკეანე თანდათან ფართოვდება.

იაპონიაში, პერუში, ჩილესა და წყნარი ოკეანის ირგვლივ მდებარე სხვა რაიონებში მომხდარი შედარებით ძლიერი მიწისძვრები უკვე ამ ფილების ერთმანეთთან შემხვედრი მოძრაობით აიხსნება. ავადმოსაგონარი ცნობილი გადანატეხის სან-ანდრეასის რაიონში (ეს გადანატეხი თავისთავად ანასხლეტ ხაზს წარმოადგენს), რომელიც სან-ფრანცისკომდე ჰყოფს კალიფორნიას კალიფორნიის ყურესაგან, წყნაროკეანური და ამერიკული ფილები ერთმანეთს ერწყმინ. ამის შედეგად წარმოიშობა ის, რასაც სეისმოლოგები „ტრანსფორმირების დასაწყისს“ უწოდებენ. კალიფორნიის სანაპირო ნაწილი წყნაროკეანურ ფილაზე მოძრაობს, ამასთან ძოძრაობს დანარჩენი კონტინენტის გასწვრივ საკუთნები

„მამა“ კარინა გიხმოთ...

მოსკოვი. რესტორანი „როსია“. ხალხით გაჭედილი დარბაზი. ბროლის ჭიქების წკრიალი და მუსიკის საამო ჰანგები...

დარბაზში შემოსული წყვილი მორიდებით იხედება აქეთ-იქით, თავისუფალ მაგიდას დაეძებს.

— აქეთ მობრძანდით, მეგობრებო! — მიიპატიჟა რესტორნის დაგვიანებული სტუმრები ახალგაზრდა შავგვრემანმა ვაჟმა, — ჩვენს მაგიდაზე ორი ადგილია თავისუფალი.

— დიდი მადლობა, — წარმოთქვეს დამტვრეული რუსულით მოღიმარმა უცხოელებმა და მაგიდას მიუსხდნენ.

ეს დედაჩემია — წარუდგინა გიორგი ჩუბინიძემ ახალმოსულთ ოდნავ შეჭაღარავებული, სანდომიანი ქალი და დასძინა: ჩვენ საქართველოდან, თბილისიდან ვართ.

საქართველოსა და თბილისის ხსენებაზე სტუმრებს სახე გაუბრწყინდათ, უწინდელზე უფრო ადვილად ენდნენ ერთმანეთში ხმამაღალი საუბარი გააბეს, თან რუსულადს და გიორგის აგრძნობინებდნენ, რომ მათთვის რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ეთქვათ.

ამასობაში თარჯიმანიც გამოჩნდა და საუბარი უფრო ადვილად წარიმართა.

იტალიელი ცოლ-ქმარი ლაურა და ჯუზეპე პეტინაროლები მოსკოვის ხშირი სტუმრები ყოფილან. მათი ქარხნის ნაწარმი ჩვენს ქვეყანაში ძალიან მოსწონთ. ახლაც საავაჭრო საქმეების გასარიგებლად ჩამოსულან.

სუფრაზე „წინანდლის“ ბოთლები გაჩნდა. ჭიქები რომ შეავსეს, სიტყვა სტუმარმა ლაურა პეტინაროლმ. ითხოვა.

— მას შემდეგ თითქმის სამი ათეული წელი გავიდა, მაგრამ ჩვენს ოჯახში დღე ისე არ გავა, მათი სახელები არ ვახსენოთ, მათი ამბავი არ მოვიგონოთ.

მაშინ 13-14 წლის ქერა, გამხდარი გოგონა ვიყავი. მამა ენრიკო ფრატინი დილით ადრე რომ წავიდოდა სამუშაოზე, გვიან ღამით ბრუნდებოდა. ოჯახის ნამდვილი ბურჯი, სული და გული დედაჩემი კარინა იყო. სახლის პირველ სართულზე ბარი გვქონდა გახსნილი, ბარი-მეთქი ვამბობ, თორემ მთელი დღე ისე გაიღლიდა, ერთი მუშტარიც არ შემოიხედავდა. ომი იყო და ყველას უჭირდა. გვიჭირდა ჩვენც.

ერთხელ, — ეს იყო 1944 წლის გაზაფხულზე — გვიან ღამით, როცა უკვე დასაძინებლად ვემზადებოდით, ვიღაცამ დააკაკუნა. დედამ კარი გააღო და ოთახში შვიდი თუ რვა შეიარაღებული კაცი შემოვიდა. შიშისაგან კინაღამ გული წამივიდა, ღუმელს ამოვეფარე.

— ნუ გეშინიათ, პარტიზანები ვართ, — დაგვამშვიდეს მათ. — საბრძოლო ოპერაციიდან ვბრუნდებით, საშინლად დავიქანცეთ, ორი დღეა არაფერი გვიჭამია. სტუმრებიც გვახლავს, ქართველი პარტიზანები — და თან ორ ბრეგ ვაჟკაცზე მიგვითითეს.

მაშინ სიტყვა „ქართველი“ — „ჯორჯიანი“ პირველად მოვისმინეთ და არც რაიმე მნიშვნელობა მიგვიცია მისთვის, მაგრამ როცა გავიგეთ, რომ ქართველები საბჭოთა პარტიზანები არიან, ჩვენს გაკვირვებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თუ კი რამ მოგვეძვებოდა, ყველაფერი სუფრაზე დავალაგეთ, მამისათვის გადანახული ვახშმიც გამოვიტანეთ. დედამ საიდანღაც სამი თუ ოთხი ბოთლი წითელი ღვინოც გააჩინა.

სუფრას მიუსხდნენ და საუბარი გაბეს. ამასობაში მამაც დაბრუნდა. პარტიზანები ოგონებდნენ იმ დღევანდელ ოპერაციას, როგორ შეიტყუეს გერმანელთა ათეული ტყის სიღრმეში, როგორ მოხერხებულად მოიწყვდიეს მასში... ამბის წამღებიც არ გაუშვიათ.

ამ საბრძოლო წარმატებას ქართველ მეგობრებს — ვლადიმერს და გრიგოლს უნდა ვუმადლოდეთო, — ამბობდნენ ისინი, — ყველაფერი მათი გეგმით წარიმართა.

ვლადიმერი მაღალ, მხარბეჭიან, შავგვრემან ქართველს ერქვა. გრიგოლი ცოტა უფრო დაბალი, მაგრამ ისიც მეგობარივით მხრებში გაწოლილი ვაჟაცი იყო. შავი ულვაშები ამშვენებდა.

თავდაპირველად ქართველები ლაპარაკს ერიდებოდნენ, ენის უცოდინარობა თუ უწლიდათ ხელს. შემდეგ, როცა ორი-სამი ჭიქა გამოცალეს და ცოტა გათამამდნენ, ვლადიმერმა ოჯახის დიასახლისის — „მამა“ კარინას (მამა იტალიურად დედას ნიშნავს) სადღეგრძელო წარმოთქვა, გაიხსენა თავისი მშობლები, შორეული საქართველო, რომლის ბუნება და ადამიანები ასე ძალიან ჰგავს იტალიისას.

როცა დანაყრდნენ და ცოტა დაისვენეს, წამოიშალნენ — უნდა წავიდეთ, ტყეს მივაშუროთ, თორემ ფრიცებმა თუ გაიგეს ჩვენი აქ ყოფნა, თქვენ კარგი დღე არ დაგადგებათო.

მას შემდეგ ვლადიმერი და გრიგოლი ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ. დღე ისე არ გავიდოდა, ერთხელ მაინც არ შემოვლოთ: „მამა“ კარინა მათ ყოველთვის გულითადად უმასპინძლდებოდა, თუ ეჩქარებოდათ და ჭამას ვერ ასწრებდნენ, საგზალს სათუთად შეუხვევდა და თან გაატანდა, დროდადრო ტანსაცმელს გაურეცხავდა, დაუკერებდა, — შორიდან არიან და არ მინდა უდედობა ვაგრძნობინოო.

„პარტიზანი ჯორჯიანის“ გამოჩენა ბავშვებსაც გვახარებდა. ისინი მეტად მხიარული ვაჟკაცები და კეთილი გულის ახალგაზრდები იყვნენ, ხშირად გვიამბობდნენ თავიანთ საბრძოლო თავგადასავალზე, შორეულ სამშობლო საქართველოზე. როცა იგვიანებდნენ, მთელი ოჯახი წუხდა, დედა სანთლებს აანთებდა, ღმერთს შვილობილების მშვიდობით დაბრუნებას შესთხოვდა...

ასე გაგრძელდა თითქმის მთელი წელიწადი. ქართველ მებრძოლებს ოჯახის წევრებივით შევეჩვიეთ. შემდეგ ომი დამთავრდა და გამომშვიდობების ჟამიც დადგა. მოხდა ისე, რომ მამა გვარები არ ჩაგვიწერია. ვფიქრობდით, ისედაც დაგვახსომდებოდა. სამწუხაროდ, დრომ თავისი გაიტანა — მეხსიერებას მხოლოდ მათი სახელები და სახეები შემორჩა...

იტალიის ჩრდილოეთში, ნოვარის პროვინციაში, ერთ სადაც დაბლობი მთავრდება და დიდებული ალპების შეფენება იწყება, შშვენიერი ტბის ორტას ნაპირას ერთი პატარა, ძველებური და მყუდრო დასახლება სანმაურიციო მდებარეობს. აქ, პიკინას უბანში, სამართლიანი სახლის აივნიდან, დღესაც ნაღვლიანად გაპყურებს ალპებიდან მომავალ გზას ოთხმოც წელს მიღწეული „მამა“ კარინა. ამ გზით ჩამოდიოდნენ სანმაურიციოში ვლადიმერი და გრიგოლი. ფიქრები რომ მოეძალება, მოხუცი მათს სურათს დახედავს და ეკერსება. ეამაყება, როდესაც ვინმე ქართველი პარტიზანების მიერ შერქმეულ სახელს „მამა“ კარინას დაუძახებს — ნეტავ იცოდეთ რა შვილობილები მყავდა, როგორი ვაჟკაცები იყვნენ, როგორი სიცილი და ცეკვა იცოდნენო. თან დასძენს — არ მინდა ისე მოგკვდე, მათი ამბავი ვერ გავიგოო. ჩვენც ხშირად დადისართ მოსკოვში, ნუთუ ვლადიმერის და გრიგოლის შესახებ ვერაფერი გაიგეთო...

რესტორნიდან გამოსვლის წინ სტუმარ-მასპინძლებმა მისამართები გაცვალეს. შეთანხმდნენ: ლაურა იტალიიდან ეოლადიმერისა და გრიგოლის სურათს გამოგზავნიდა, რუსუდანი და გიორგი კი მათ მოეძებნაში დაეხმარებოდა...

სურათებზე: „მამა“ კარინა, ვლადიმერი და გრიგოლი (მარცხნიდან პირველი და მესამე) იტალიელ პარტიზანებთან ერთად.

• • •

გასული წლის შემოდგომაზე ჩვენმა რესპუბლიკამ გულითადი შეხვედრა მოუწყო იტალიიდან ჩამოსულ ყოფილ პარტიზანებს, იტალიის ეროვნული გმირის ფორე მოსულიშვილის თანამებრძოლებს. მასპინძელთა შორის შეც გახლდით. სიმართლე გითხრათ, გული სიამაყით მევსებოდა, რა ეზეადვდი, რა ყურადღებას იჩენდნენ საქართველოს ყოველ კუთხეში ამ ამაგდარი ადამიანების მიმართ. სამუდამოდ დამამახსოვრდა გულია მასპინძლობის ერთი ასეთი ეპიზოდი:

ტელევიზიის შენობიდან გამოვდიოდით, როდესაც ჩვენთან ერთი დარბაისელი ქართველი ქალი მოვიდა და პირდაპირ გამოგვიცხადა, თქვენ და თქვენი იტალიელი სტუმრები ახლავე ჩემთან უნდა წამობრძანდეთ, მასპინძლობას ამ საღამოს ჩემი ოჯახი გიწვევთო... მადლობა გადაეუხადეთ, ავუხსენით, ერთ საათში მატარებლით დასავლეთ საქართველოში მივემგზავრებით და ამ სასიამოვნო წინადადების მიღებას ვერაფრით შეეძლებთქო. ძალზე შეწუხდა, ერთი კი იკითხა, რომელ სასტუმროში ცხოვრობენ თქვენი სტუმრებიო და დაგვიცილდა.

სასტუმროში მისულებს უცნობი ქალი ფეხდაფეხ მოგვყვა და თვითეულ სტუმარს საკმაოდ ძვირფასი სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

მაშინ ეს ფაქტი ჩვეულებრივი ქართული სტუმართმოყვარეობით აგხსენით. გავიდა რამდენიმე დღე და რუსუდანი (იგი რუსუდან მაჭავარიანი — ჩუბინიძისა აღმოჩნდა) კვლავ მოვიდა ჩემთან. ინტერესით მოვისმინე მისი ნაამბობი „მამა“ კარინასა და მისი ქართველი შვილობილების შესახებ. — იტალიელი პარტიზანებისათვის მირთმეული სამახსოვრო საჩუქრებიც „მამა“ კარინასათვის ვალის მოხდის მცირედი ცდა იყოო...

გამომშვიდობებისას რუსუდანმა მთხოვა: ერთი თვის შემდეგ ჩემი ეაეი გიორგი ცოლს ირთავს და ქორწილზე მეწვიეთ, ვფიქრობ ჩვენს ბედნიერებას ლაურა და ჯუზეპე პეტინაროლებიც გიიზიარებენო...

იტალიელი მეგობრები მართლაც ეწვივნენ ჩუბინიძეების ოჯახს. სტუმრები ალაფრთოვანა ქართული ქორწილის ტრადიციებმა, ადათწესებმა. ლაურა პეტინაროლმ, ჩვენი თხოვნით, ერთხელ კიდევ გვიამბო მისი ოჯახისა და ორი ქართველი პარტიზანის მეგობრობის შესახებ, თუ როგორ ლოცულობს მათზე „მამა“ კარინა, როგორ მოელის მათი ამბის გაგებას. თხრობა რომ დასრულა, ჩანთიდან სურათი ამოიღო და გამომიწოდა — აი ისინიც, ელადიმერი და გრიგოლი, ლედაჩემის შვილობილებია.

სურათმა მთელი სუფრა შემოიარა. იარაღასხმულ პარტიზანებში ქართველი ვაჟაცების ამოცნობა არავის გაუჭირვებია. ერთი იყო მხოლოდ, მათი პირადი ნაცნობი ჩვენს ზორის არავინ აღმოჩნდა.

ვასრულებთ იტალიელი მეგობრების სურვილს და ვაქვეყნებთ ცოლ-ქმარ პეტინაროლების მიერ იტალიიდან ჩამოტანილ სურათს. ვფიქრობთ, ვლადიმერი და გრიგოლი შეიცნობენ თავიანთ თავს და კვლავ აღდგება ომის მრისხანე წლებში ჩასახული მეგობრობა, „მამა“ კარინას ხმას მიაწვდენენ ქართველი შვილობილები.

ვ. ესვანჯია.

კარლო კალაძე

ვხვდები გაზაფხულს

მეც, ქვეყნის ერთი მოახპარეზე,
ვეძებ სიცოცხლის ნიშნს მთვარეზე,
ვეძებ, და რაა საეიეინო ან დასამალი —
არც ნიშან-წყალი არი სადმე, არც ნატამალი!

არა და — მარსზე აღმოჩნდეს იქნებ,
სიცოცხლის გზა-კვალს ბინდ-ბუნდში ვიგნებ,
იქნებ იმედი გავუმართლო ამ გულს, ამ
მკლავებს —
ყმაწვილკაცივით ციდან ცაში დავდევ
ვარსკვლავებს

მეც, ქვეყნის ერთი მოახპარეზე!
ბნელს გავჭვრეტ, იქნებ ქიმერიძე ვარ.
იქნებ ცად მწვანე ტოტი ირწევა, —
აჰა, სიმაღლე ამასთუნნის, აჰა, ზეკარის,
ღიაა ცა და სათვალთვალო კოშკიც ეგ არის —
ბნელში თვალს შუქი პირველად ანელს,
ვოვლი ჩუმად ვარსკვლავს, ვარქმევ ჩემს სახელს
და ის კი, თურმე ჩამქრალია, როცა მიცქერის,
ყამთასვლის შემდეგ იჭერს ცხრილი
ვარსკვლავთმრიცხველის.

მაშ, ქიმერიძედ რად იწერება?!
მკვდარი სიცოცხლით გადაგვიროლა
თითქოს იყო და არა იყო რა!
— რაა სიცოცხლე? — რას მივუგებთ, კაცმა
რომ გვკითხოს,
პასუხად ერთი ამოსუნთქვა გვეყოფა თითქოს...
რაა სიცოცხლე, რა საოცრება —
რასაც შეესწრებ თვალს, თუ ოცნებას!?
მზის ჩასვლის მზუხრი არის იგი, დილის
ღამილი,
მინდვრის სიჩუმე თუ ჩიტების ყივილ-ხივილი,
თუ — შეუცნობი ტორტმანი წყალთა!?
ო, ვინ დასტოვებს ზღვის ღელვას ღელვად,
ან ღრუბლებ-შეყრილ ცას აუმღვრეველად,
ვინ იტყვის, მთვარე შუაღამის ნათურად ენთოს,
ვინ იტყვის, გული ლაღად გაშლილ ფრთებს
ალარ ენდოს! —
გულიც ვიგულოდ, დარიც ვიდაროდ —
ჩვენი ცხოვრება ცად ავიტანოთ! —
ოღონდ ნუ ვფიქრობთ განწირულად: —
დრონი იცვალნენ
და ჩვენს სიცოცხლეს არ ეყოფა მიწის
სიმწვანე!...

რაა სიცოცხლე ბოლოსდაბოლოს!?
სიცოცხლე მხოლოდ სუნთქვაა მიწის!
და ეს იმ ერთმა მხნე კაცმა იცის
რომელსაც გუთნით ყამირებზე გააქეს ხნულები,
რომ ცისქვეშ კვლავაც სულს ითქვამდნენ
გაზაფხულები!

ისე გვიხატავს მზესა და ჩიროს —
არ შეიძლება არ დაგვაჯეროს
რომ ღირს ბედნიერ ამოსუნთქვად ის წუთი
ალლა

რომელმა წუთმაც დაგვამკვიდრა და დაგვასახლა
საშვილიშვილოდ ამ ქვეყანაზე!
სხვა ხალდუმლოს მე არ ვინახავ,
და რომ ეკითხა ვინმეს: — ვინა ხარ?
— ამ გორისა ვარ, მეც ვიტყოდი, ამ ზღვის,
ამ ზეცის,
დღისა და ღამის მოტრფიალე, ულამაზესის...
ყოველ გაზაფხულს ვახლდი აქამდი
და ახლაც მარჭვედ გადავხატავდი;
ზღვის ლურჯი ზოლიც გადეუვლიდა ჩემს
მკერდს განდაგან
და ვით გინახავთ მეზღვაურის მკერდი
ქარდაჭარ —
ჩემს სულისთქმასაც დაინახავდით!

მავზოლეუმთან

აქ ჩემს მომავალს მოაქვს დროშები,
ისე, ვით წარსულს მოუტანია.
აქ ერთგულების ფიცს დის დრო ჩემი —
ჩემი წითელი მოედანია!
ხეებს, ჭაღარა-მორეულ ხეებს
არ უკვირთ ჩვენი სვლა უწყვეტელი,
ქონგურად მოსდევს მომავალ დღეებს
ცად ამართული კრემლის კედელი.

მავზოლეუმის ღიაა კარი
და ჩემი გულიც ძალ-ღონეს იკრებს,
ჩუმად, ლენინის წინაშე მდგარი,
სიტყვას კი არა — ვამოწმებთ ფიქრებს!

ჩუმად, კიბეებს ჩუმად ჩავივლით
და დიდ აკლდამის ცივ მარმარილოს
ვამკობთ ყოველთვის ცოცხალ ყვავილით,
რომ სულს ითქვამდეს, რომ იყვავილოს...

ვამოწმებ, თავს რაც გადამხდა გუშინ,
სად მეყო სიტყვა, სად მეყო გარჯა.
ვამოწმებ, დღეს რაც გავივლე გულში,
და რაც ჯერ კიდევ უთქმელი დარჩა!
წმიდაა ჩემთვის ეს წამი, ეს ქვა!
მე სხვა ფიცი-ვერცხლის სიმართლე არ მწამს...
და მაღალ კრემლის საათის რეკვა
ზარის გუგუნით მაუწყებს ამ წამს!

სამრეკლოები

ცაში ვინც ჩასვა შუშის კედელი,
ვინც მიიჩნია ლაჟვარდი ჭერად, —
ცისა და მიწის განუწყვეტელი
კამათი ამით გადაწყდა, სჯერათ.

ახალ არბატის სარკმელებს მაღლა
ნამწვიც არ შერჩათ მთვარის ნამლევის.
ალფრთოვანებით აღვიძებთ ახლა
ყივილ-ხივილი თვითმფრინავების!

მაგრამ სართულებს რომ აჰყვეთ ცამდე —
ძირს ვერ დახედავთ წარსულს უგულოდ,
თქვენი ნებაა გწამდეთ, არ გწამდეთ —
ჭრელ-ჭრელ გუშმბათებს უნდა უყურთ!
სადაც კი მიწა მოსჩანს, სად არა,
სადაც სართულთა დასაბჯენია —
დიდ მოედნებზე პატარ-პატარა
სამრეკლოები ცას დარჩენია...

იმ სამკაულებს გვანან საოცრად,
თვალი იმ ლალს და ფირუზს ადარებს
რომელთაც ახლა გადასაოცნად
ძეწკვით გულ-მკერდზე არვინ ატარებს.

სიახლეს თუნდაც აჰყვეთ ცამდე,
ძირს ვერ დახედავთ წარსულს უგულოდ, —
თქვენი ნებაა გწამდეთ, არ გწამდეთ —
ჭრელ-ჭრელ გუშმბათებს უნდა უყურთ!

ეროსკოვის ქუჩებო...

რაც უნდა შორს იყოთ,
მოსკოვის ქუჩებო,
რაც უნდა შორს იყოთ — ერწმუნეთ ყაისინს, —
ისე, ვით ის ამბობს, ვერ გასძლებთ უჩემოდ.
და, აჰა —
აქ ჩემი ნაბიჯიც გაისმის...

ზღვა ხალხი რომ არა —
სარკმელთა ციმციმით
გზა საით მანიშნონ ამ თქვენმა გემებმა!?
ყოველთვის ანთებულ თვალებით მიცინით
და
თქვენი გუგუნი მეც მომეგებება.
გზადაგზა მე ჩემი
სიჩუმეც მაუურებს
და მაინც თუ ფიქრით ფიქრს მივეშველები —
საითაც არ უნდა გავსდიო ამ ქუჩებს
მხვდებიან,
მხვდებიან, მხვდებიან ჩვენები.

ან როდის მოასწრეს
ჩამოსვლა მთებიდან,
ამ დილით არ იყო? ქედიდან ქედამდი
ლერმონტოვს ცის იქით უჩანდა მხრები და
პუშკინსაც
არაგვის ნაპირზე ვხედავდი!
და უკვე აქ დგანან.
და უკვე ამ დილით
ირქმევენ ქუჩები აქ იმათ სახელებს.
ვზეიმობ. მზე მაღლა ამისვრის ლანდივით,
ვზეიმობ.
შეფრფინვით მილანდავს ცა ხელებს!

მიყვარს მე ლექსთწყობა
ვით ძველი ბრინჯაო
აქ ისევ რომ იჩენს ჯადოსნურ ძალღონეს,
თითქოსდა კვარცხლბეკის სიმაღლე სინჯაო —
თავს ადგას
მომავალ მთქმელსა და გამგონეს!
მოსკოვის ქუჩებო,
მოსკოვის ქუჩებო,
უთუოდ ამიტომ უყვარხართ ყაისინს,
უთუოდ ამიტომ ვერ გასძლებთ უჩემოდ (!)
და აჰა —
აქ ჩემი ნაბიჯიც გაისმის...

სიზმარი, ვოლგა, იაროსლავლი

სიზმარი, ვოლგა, იაროსლავლი
ისეთი უცხო სიზმარი ვნახე,
რომ გულისცემით
ძლივს გავაღე კარი ამ დილით!
პირველი თვითონ ძილს გარდავსახე,
შინ როცა მოვალ — უნდა ავხსნა კარაბადინით!..

ვინაა უფრო უღვთო, უხეში
ვინმე ნამლევა მთვარის დაშნით
შმაგი ურჯულო?!
და აი, ვცდილობ ვპოვო ნუგეში —
ვცდილობ ვაება სიზმარშიაც ქვეს წაეჩურჩულო.

...მდინარის ფსკერზე ვაგდიავარ ვითომ,
წყალი დამშრალა
და გულ-მკერდზე აღარ გადამდის.
ვუცდი ყვავ-ყორნებს, რომ თითო-თითომ
ფრენით წაიღოს ჩემი ხორცი ასტრახანამდის!

— როგორ! ფიქრებო, როგორ გავიგოთ,
მაინცდამაინც ასტრახანი
რამ გაგახსენათ!
ამაოდ ცდილობთ სადმე გამრიყოთ,
კარჭაპი ჩემი არ მიიღტვის თავდასასხნელად!

მეფის ვახტანგის გზა მისწავლია,
თუ რაა ლტოლვა
მისხალ-მისხალ მაქვს აწონილი.
მაგრამ დღეს თვალწინ იაროსლავლია
და ლაღი ვოლგა ქორეზინტზე გადაწოლილი.

მე არც მეფე ვარ და არც აშული,
ვარ ერისკაცი ჩემი დროის,
ვარ მოგზაური.
ძილში ჩამესმის წყლის ჩახჩუხი
და არა შემცბარ ბავშვთა აურზაური!

ჩემსკენ წამოსულ დღეს როცა ველი,
თმას უზინარი ხელის ორთოლვით
მისწორებს ქარი,
ძველი სურათიც არაა ძველი
და როგორც ახალს ვეგებები ანძებთან მდგარი.

მაშ კვლავაც ვოლგა და იაროსლავლი?
წმინდა ილიას
წარუშლელი ფრესკების მზერა?
კასპიისკენ მდინარის მძლავრი
დენა რომ სანდო გულისთქმაა — სიზმარშიც მჯერა!

ავწევ კარჭაპის ჭერს, ამოვდიავარ
და ღია ცისქვეშ
უნებლიეთ ვირძნობ სიმარტოვეს.
ჩემეულ მთების ფერსთით როდი ვარ —
მთებმაც დამტოვეს, დათოვლილმა მთებმაც
დამტოვეს! —

ცის გაღმა ახლა უჩემოდ სხედან,
მწყინს, მაგრამ რა ვქნა,
სიყვარულით ვითმენ სიშორეს,
იქაა მათი მტკვარი და მცხეთა...
მე კი სიზმრებმა ჩრდილოეთში გადამისროლეს!

მისდევს ველი ველს, მისდევს ველი ველს
ვით კალთა კალთას
დაუკრეფელ ყვავილით სავსე.
დავთმობ ყველაფერს და ყოველივეს
ოღონდ ის მთები სვანებივით დამადგნენ თავზე.

აქ, სადაც გული მოხიბლა ვოლგამ,
აქ, სადაც ბედმა
გამითენა დილა ცისმარი, —
დე ჩაუქრობლად ენთოს ყოველღამ
ჩემი ოცნება; ჩემი რწმენა. ჩემი სიზმარი.

ასი ფანჯარა მე ერთს მიცქერის

ასი ფანჯარა მე ერთს მიცქერის!
იმათ რა უჭირთ, ცაში არიან, —
ისეთის, მე რომ ვარ — გულფიცხელის —
ცაში ახედავც საშიშარია!
ასი ფანჯარა — ასი დამეა
ცაში ერთბაშად გაჩაღებული.
მართლაც ზღაპრული სითამამეა
ბროლის კოშკებად აქ აგებული....
ასს როცა ვამბობ, ცოტაა ალბათ,
როცა არბატი მზით გაუშქდება —
როგორც ახალი დღე, ·ახალ არბატს
თვალთა ჩუმჩუმი ბრწყინვა უხდება!
ასი ფანჯარა რა ნიშანია,
რა ამოცანა ვარსკვლავთმრიცხველის —
ასი, არათუ ხაშიშარია —
ასი ფანჯარა მე ერთს მიცქერის!

ან ღრუბლებ-შეყრილ ცას აუმღვრეველად,
ვინ იტყვის, მთვარე შუაღამის ნათურად ენთოს,
ვინ იტყვის, გული ლაღად გაშლილ ფრთებს
ალარ ენდოს! —
გულიც ვიგულოდ, დარიც ვიდაროდ —
ჩვენი ცხოვრება ცად ავიტანოთ! —
ოღონდ ნუ ვფიქრობთ განწირულად: —
დრონი იცვალნენ
და ჩვენს სიცოცხლეს არ ეყოფა მიწის
სიმწვანე!...

რაა სიცოცხლე ბოლოსდაბოლოს!?
სიცოცხლე მხოლოდ სუნთქვაა მიწის!
და ეს იმ ერთმა მხნე კაცმა იცის
რომელსაც გუთნით ყამირებზე გააქეს ხნულები,
რომ ცისქვეშ კვლავაც სულს ითქვამდნენ
გაზაფხულები!

ისე გვიხატავს მზესა და ჩიროს —
არ შეიძლება არ დაგვაჯეროს
რომ ღირს ბედნიერ ამოსუნთქვად ის წუთი
ალლა

რომელმა წუთმაც დაგვამკვიდრა და დაგვასახლა
საშვილიშვილოდ ამ ქვეყანაზე!
სხვა ხალდუმლოს მე არ ვინახავ,
და რომ ეკითხა ვინმეს: — ვინა ხარ?
— ამ გორისა ვარ, მეც ვიტყოდი, ამ ზღვის,
ამ ზეცის,
დღისა და ღამის მოტრფიალე, ულამაზესის...
ყოველ გაზაფხულს ვახლდი აქამდი
და ახლაც მარჭვედ გადავხატავდი;
ზღვის ლურჯი ზოლიც გადეუვლიდა ჩემს
მკერდს განდაგან
და ვით გინახავთ მეზღვაურის მკერდი
ქარდაჭარ —
ჩემს სულისთქმასაც დაინახავდით!

სიზმარი, ვოლგა, იაროსლავლი

სიზმარი, ვოლგა, იაროსლავლი
ისეთი უცხო სიზმარი ვნახე,
რომ გულისცემით
ძლივს გავაღე კარი ამ დილით!
პირველი თვითონ ძილს გარდავსახე,
შინ როცა მოვალ — უნდა ავხსნა კარაბადინით!..

ვინაა უფრო უღვთო, უხეში
ვინმე ნამლევა მთვარის დაშნით
შმაგი ურჯულო?!
და აი, ვცდილობ ვპოვო ნუგეში —
ვცდილობ ვაება სიზმარშიაც ქვეს წაეჩურჩულო.

...მდინარის ფსკერზე ვაგდიავარ ვითომ,
წყალი დამშრალა
და გულ-მკერდზე აღარ გადამდის.
ვუცდი ყვავ-ყორნებს, რომ თითო-თითომ
ფრენით წაიღოს ჩემი ხორცი ასტრახანამდის!

— როგორ! ფიქრებო, როგორ გავიგოთ,
მაინცდამაინც ასტრახანი
რამ გაგახსენათ!
ამაოდ ცდილობთ სადმე გამრიყოთ,
კარჭაპი ჩემი არ მიიღტვის თავდასასხნელად!

მეფის ვახტანგის გზა მისწავლია,
თუ რაა ლტოლვა
მისხალ-მისხალ მაქვს აწონილი.
მაგრამ დღეს თვალწინ იაროსლავლია
და ლაღი ვოლგა ქორეზინტზე გადაწოლილი.

მე არც მეფე ვარ და არც აშული,
ვარ ერისკაცი ჩემი დროის,
ვარ მოგზაური.
ძილში ჩამესმის წყლის ჩახჩუხი
და არა შემცბარ ბავშვთა აურზაური!

ჩემსკენ წამოსულ დღეს როცა ველი,
თმას უზინარი ხელის ორთოლვით
მისწორებს ქარი,
ძველი სურათიც არაა ძველი
და როგორც ახალს ვეგებები ანძებთან მდგარი.

მაშ კვლავაც ვოლგა და იაროსლავლი?
წმინდა ილიას
წარუშლელი ფრესკების მზერა?
კასპიისკენ მდინარის მძლავრი
დენა რომ სანდო გულისთქმაა — სიზმარშიც მჯერა!

ავწევ კარჭაპის ჭერს, ამოვდიავარ
და ღია ცისქვეშ
უნებლიეთ ვირძნობ სიმარტოვეს.
ჩემეულ მთების ფერსთით როდი ვარ —
მთებმაც დამტოვეს, დათოვლილმა მთებმაც
დამტოვეს! —

ცის გაღმა ახლა უჩემოდ სხედან,
მწყინს, მაგრამ რა ვქნა,
სიყვარულით ვითმენ სიშორეს,
იქაა მათი მტკვარი და მცხეთა...
მე კი სიზმრებმა ჩრდილოეთში გადამისროლეს!

მისდევს ველი ველს, მისდევს ველი ველს
ვით კალთა კალთას
დაუკრეფელ ყვავილით სავსე.
დავთმობ ყველაფერს და ყოველივეს
ოღონდ ის მთები სვანებივით დამადგნენ თავზე.

აქ, სადაც გული მოხიბლა ვოლგამ,
აქ, სადაც ბედმა
გამითენა დილა ცისმარი, —
დე ჩაუქრობლად ენთოს ყოველღამ
ჩემი ოცნება; ჩემი რწმენა. ჩემი სიზმარი.

გოგიას ტყე

მკართალი ზღაპარი

მხატვარი ვ. გულისაშვილი.

საამშრად შრიალებს ტყე! არა, კი არ შრიალებს, დაბალი ზრუნით მღერის, თავისებური ხმით გალობს. ივლისის ბრილი ნიავი რტოებში ანცობს, ფოთლებს აცეკვებს და ტყეს ბანს ეუბნება. რა დიდი სიცოცხლეა ამ პატარა ხელისგულისოდენა ჭალის ტყეში! ამოდ ირწევიან ალვები, ზოთხვები, ვერხვები, თელები, იფნები, მუხები, ცაცხვები... ვერსად ნახავთ ტანდაგაჯილ ბებერ წიფელს, ხმობაშეპარულ დამსკდარ კანზე აკაიქ აბედის სოკოებით რომ გაიხარხლება, კენწეროზე კოდალა რომ მიასკუპდება და თეთრი, მსუქანი ჭიების სუნით გაშმაგებული დაფუტურობულ ადგილებს რომ ეღრეტნის, ანდა ქარისაგან გადატეხილ, დაყანთრებულ ვერხვს, ლეგა ხავსი რომ გამოუვა და თოვლსა და წვიმაში ლუპავს.

არა, სულ ახალგაზრდა ტევრია, დიდი ზრუნვით დარგული და გახარებული, რაო, რაო? იკითხავს მკითხველი. ზრუნვით დარგული და სიყვარულით გახარებულიო?

დიახ! რა არის დაჯერებელი!

ამ ოცდაათიოდე წლის წინათ აქ მხოლოდ გვალვისაგან გადამშვარი რიყე გახლდათ. სიცხისაგან ჩამშრალი პატარა მდინარე ქვებს შორის ჩუმი ხმით ძლივს მოწანწკარებდა. მე, ერთი ცეროდენა ტიტლიკანა, მის ტბორებში ფეხშიშველი ვტოპავდი და ჭიჭყინებს ვიჭერდი. იქვე გუბეში სიცხისაგან დაოსებული და საძოვრიდან კოლოებისაგან გამოფუკულ-ვაგენილი ბოროლები იდგნენ და აგრილების მოლოდინში უხალისოდ იცოხნებოდნენ. ცოტა მოშორებით, ხოდაბუნების ბოლოში, ერთი ბებერი მდინარის ჩრდილში გოგია იჯდა და ჩუმი ღიღინით ხელსაქმობდა: ან ბრელ კალთებს წნავდა. ან კოხტა ცხრილებს ჰქსოვდა, ანდა ყაპაყატოს ხოკრებს კერავდა.

მაგრამ სჯობს ზღაპარი თავიდან დავიწყოთ.

იყო და არა იყო რა, მთელ მსოფლიოში გოგიაზე უკეთესი აბა ვინ იქნებოდა. ერთი ობოლი, უპატრონო და ტლუ ბიჭი იყო. კამეჩების ნახირში დადიოდა და აღებული ქირით გაჰქონდა თავი. შუადღისას იალაღებზე კარგა შებალახებულ ნახირს გუბეებში ჩაპყრიდა, თვითონ იმ ბებერ მდგნალს მიაშურებდა და, როგორცა ვთქვი, ან ხელსაქმობდა, ანდა მე, მდინარის ჩრდილში მოთვეშავეს, დამძახებდა და გამემასხრებოდა. პატარა ვიყავი, ხუმრობას ვერ ვიტანდი და ზოგჯერ, გაფხუკიანებული, სახრეს კარგა ლაზათიანადაც ვუცხუნებდი. ნატკენ ადგილს გამწვავებული მოიფხანდა, გაცინებული მომვარდებოდა, გამომტაცებდა სახრეს, გადამიგდებდა, მერე დამიჭერდა და ჯოტრიალობდით. ხან ვითომ მე ვიყავ ძირს, ხან — ის, და იცინოდა, კვდებოდა სიცილითა.

გულს რომ იჯერებდა, დაღლილები წუთით შევჩერდებოდით და უხმოდ ვქმინავდით. მერე ისევ ხელახლა იწყებოდა თავაწყვეტილი ბღლარძული. არ ვიცადი რისთვის და რატომ, გოგია, ჩემდა მოულოდნელად, ზოგჯერ უცბად გამიშვებდა ხელს, ოფლს დაძენძილი პიჯაკის კალთით მოიწმენდდა, თმას გაფარჩხული თითებით „გადაივარცხნიდა“, შარვალს გაისწორებდა, ბლუზის კალთის ნაოჭებს ქამარში წელთან წაიხვეტდა და მდინარისკენ გასწევდა.

მე გაკვირვებული გავადევნებდი თვალს. წყალგაღმა შეფერდებაზე, ერთი დიდი, მთელ სოფელში ყველაზე კარგი სახლი იდგა. ამ სახლიდან დაბარებულივით ყოველთვის ერთსა და იმავე დროს გამოვიდოდა თმადალალა და ტანლატანა შოლტივით გოგო. ცალ ხელში კოკა ეჭირა, ცალს კი განზე იქნევდა და თავქვეზე დაკლაკნილ ბილიკზე ჩამორბოდა. რიყეზე რომ ჩამოვაკეებდა, განიერი კაბის კალთების შრიალით აპეკლასავით მიფარფატდებოდა ბექის ძირში ნორი წყაროსთან, მივიდოდა გოგიაც, დასხდებოდნ

დღეს საქართველოს რაიონებში

ზუგდიდი

სურათზე: ზუგდიდში.

ბ. სოკოლოვის ფოტო.

მეგობრობის სალამო

ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სარაინთაშორისო სახელმწიფო თეატრში თავი მოიყარეს ქალაქში მცხოვრებმა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებმა. აქ არიან რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ყირგიზები, უზბეკები, რომლებიც ქართველ მეგობრებთან ერთად აშენებენ ენგურის ჰიდროელექტროსადგურს, შუბები ქართულ ქალაღლდს, კონსერვებს, აგებენ საცხოვრებელ სახლებს, აქტიურად მოღვაწეობენ განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა დარგებში.

ხალხთა მეგობრობის სითბოთი და საყვარულით იყო გამთბარი ეს სალამო, რომლის დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

რ. ძორთუა.

მატარებელი ინგირი — ჯვარი

ამას წინათ დაბა ჯვარი რკინიგზით დაუკავშირდა ზუგდიდის რაიონის სადგური ინგირის. ინგირიდან ჯვარში პირველი ელექტრომოტორიანი მატარებელი გავიდა. იგი დღეში ორჯერ ივლის.

ახალი პავილიონები, ატელიეები

დარჩელი რაიონის ერთ-ერთი დიდი სოფელია. საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს თანხებით დაიწყო მომსახურების კომბინატის შენებლობა, რომელიც წელს უნდა დამთავრდეს. შენებლობისათვის გამოყოფილია 50 ათასი მანეთი.

გრიგოლიშში ახლახან გახსნა საპარიკმახერო, სოფელ კოლხიდაში კი საპარიკმახერო და ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო, რუხში — ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო.

ამ დღეებში ინგირის ჩაის ფაბრიკასთან გაიხსნა ელექტროძრავების შემკეთებელი და მომნიკელებელი საამქროები. ცაიშში კი დაიწყებენ მუხის პარკეტის გამოშვებას.

მექანიზებული სავაჭრო ბაზა

ცმკაკშირის პრეზიდიუმის გამგეობამ ზუგდიდის სარაინთაშორისო ბაზისათვის ააშენა დიდი, კეთილმოწყობილი და მექანიზებული შენობა. ცალკეულ ოთახებში გამოფენილია მზა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ტრიკოტაჟი, წინდა, გალანტერია, პარფიუმერია, კულტსაქონელი და ქსოვილები. ბაზა მთლიანად მექანიზებულია.

სავაჭრო ბაზა ხუთ რაიონს ემსახურება. მისი წლიური საბითუმო საქონელბრუნვა 24 მილიონ მანეთს შეადგენს. (საკ. კორ.).

„ოქროს ბეგია“

შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა მ. ხუნწარიას სამმოქმედებიანი კომედია „ოქროს ბეგია“, რომელიც დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გრ. ლაღიძემ, ნახატავრია ჯ. არუთინოვი, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის კომპოზიტორ ნ. გიგაურს.

ი. ბერულავა.

იუმორი შემოხვევა

გოლიათი ხგო

ახალციხეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის № 1 ფერმაში მაღალპროდუქტიულმა ძროხამ „მანიამ“ მოიგო ხბო, რომელიც 58 კილოგრამს იწონის: იგი თითქმის ორჯერ აღემატება ახალშობილთა ხაშუალო წონას. ასეთი შემთხვევა იშვიათია. წინა ლაქტაციის პერიოდში ძროხა „მანიას“ წველადობამ 4.000 კილოგრამს გადააჭარბა.

ბ. ალშიბაია.

„ზუგდიდი“

**ზ. ბ. ბ. ბ